გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 07/59
01/08/2017

,,გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის სატელეფონო ლიმიტების დამტკიცების შესახებ" გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2016 წლის 17 ნოემბრის № 119 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის, ,,საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის 27^1–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

2016 წლის 17 ნოემბრის № 119 განკარგულებაში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთათვის შესაბამისი თანამდებობრივად განსაზღვრული ფუნქცია–მოვალეობების და დავალებების შესრულების მიზნით დამტკიცდეს სატელეფონო ბალანსის ლიმიტი დანართი №1–ის სახით.
2. დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატს მოამზადოს სათანადო მიმართვა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე დადგენილი ლიმიტის გათვალისწინებით, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დანართი ერთის მიხედვით განსაზღვრული თანხის ოდენობით აბონენტის სატელეფონო ბალანსის უზრუნველყოფაზე.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მისი დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის ან გამოქვეყნების დღეს.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

კახა სამხარაძე

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი